რუსუდან ყენია
გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

## ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის წარსულიდან

დღეს, როგორც არასდროს, ისე ძლიერ გვჭირდება გავიხსენოთ ჩვენი ინსტიტუტისა და მისი ერთგული, მტკიცე, ურყევი კოლექტივის წარსული ცხოვრება. გახსენება თავისი ჩამოყალიბებული ტრადიციებით გამორჩეული ინსტიტუტისა, რომელიც ყოველი ჩვენთაგანისთვის მეორე ოჯახს წარმოადგენდა, სიხარულის მომგვრელიცაა და დარდისაც. ბევრი გამოგვაკლდა, რომელთანაც ათეული წლების ერთად ყოფნა და მუშაობა გვაკავშირებდა, ინსტიტუტსა თუ ექსპედიციებში.

კინოს კადრების სისწრაფით იშლება ჩემს თვალწინ მოგონებები, ინსტიტუტში მისვლის პირველი დღიდან დღემდე.

დღეს ჩვენთან აღარ არის საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერული დისციპლინის ფუძემდებელი, მრავალმხრივი, დიდი მეცნიერი და პიროვნება – გიორგი ჩუბინაშვილი, რომელმაც მეცნიერებას გვაზიარა ასპირანტები და ისე ძლიერად შეგვაყვარა ქართული ხელოვნების ძეგლები, როგორც თავადვე უყვარდა საქართველო და მისი ეროვნული კულტურა. არა თითების ქნევითა და ცარიელი სიტყვებით, რაც წლიდან წლამდე გაპოროტებული "ვაი მეცნიერებისგან" გვესმოდა, არამედ თავისი ყოველდღიური შრომითა და საყვარელი საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, რაც ჩვენთვისაც მაგალითი იყო.

ჩვენთან აღარ არიან იმ თაობის წარმომადგენლებიც, რომლებიც პირველი დღიდანვე გვერდში ამოუდგნენ ბ-ნ გიორგის და მასთან ერთად იზიარებდნენ ინსტიტუტის დაარსების სიხარულსაცა და იმ სიძნელეებს, რაც ახალი საქმის დაწყებას ახლავს. ჩვენ მათ "ОСНОВОПОЛОЖНИК-ები" ("ფუძემდებლები") შევარქვით, რადგან ვამაყობდით, რომ ინსტიტუტის პირველი თანამშრომლები იყვნენ და თან დაუმატებდნენ ხოლმე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სექტორად იყო გაფორმებული. ხშირად გვიყვებოდნენ, რა სირთულეების გადალახვა უხდებოდათ ომის დროს ექსპედიციებში, რა ტრადიციები ჩამოყალიბდა ინსტიტუტში. გვესაუბრებოდნენ ინსტიტუტის წარმატებებზე, მომავალ გეგმებზე. ასე თაობიდან თაობაზე გადადიოდა ძველი ტრადიციები და ყალიბდებოდა ახალიც.

არ შემიძლია არ გავიხსენო პირველი ასპირანტები, რომლებიც აღარ არიან ჩვენ გვერდით (ვაიანგ ალიბეგაშვილი, ვახტანგ დოლიძე, ხასან ჩარაკიძე, ავთო ვარაზი, ნოდარ ჯანბერიძე) და უდროოდ წასული ახალგაზრდობა (ჯილდა იოსებიძე, მარინე ჭყლიძე, სოფიო ოისელიანი, თეა არჯევანიძე, კარლო კაჭარავა), რომლებმაც თავისი ნიჭის გამოვლენა ვერც კი მოასწრეს და დარჩათ განუხორციელებელი სურვილები.

ვინ იყვნენ ჩვენი ინსტიტუტის პირველი თანამშრომლები და საიდან მოიყარეს თავი იმათ, ვინც ინსტიტუტში ჩამოყალიბდნენ ცნობილ მეცნიერებად. ისინი ყველანი გადმოვიდნენ ორი მონათესავე დაწესებულებიდან. ხელოვნების მუზეუმ "მეტეხის" მხატვრობისა და არქიტექტურის განყოფილებიდან მოვიდნენ სადაც 1934-1941 წლებში მუშაობდა, აგრეთვე, ხუროთმოძღვრების განყოფილების გამგედ გიორგი ჩუბინაშვილი და "რუსთაველისა და მისი ეპოქის" მუზეუმიდან, თინათინ ვირსალაძე, რენე შმერლინგი, რუსუდან მეფისაშვილი და ლევან რჩეულიშვილი, ლევან მუსხელიშვილი, რომელიც იმჟამად დირექტორის მოვალეობას ასრულებდა; სარა ბარნაველი – მორიდებული, ერთგული და ინსტიტუტისთვის თავდადებული; თავდაპირველად (1948-1972) იგი დანიშნული იყო ინსტიტუტის სწავლულ მდივნად,

ხოლო 1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1984) მცირე და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელად; როგორი მოკრძალებით შეგვახსენებდა ხოლმე ნახევარი ან მთელი წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის ჩაბარებას, თითქოს ეს ჩვენი მოვალეობა კი არ იყო, თავისი საქმის შესრულებას გვთხოვდა; ყოველთვის უხაროდა განყოფილების თანამშრომელთა გეგმის გარეშე შესრულებული სამუშაოს გრძელ სიას რომ კითხულობდა. ელენე ქენატაშეილი, შალვა ხიდაშელი, ვახტანგ ჯაფარიძე (ორივე მალევე გაიწვიეს ჯარში, ჯარიდან დაბრუნებულებმა კი თავიანთი სპეციალობით დაიწყეს მუშაობა), პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი; რუსთაველის მუზეუმიდან გადმოვიდნენ, აგრეთვე, ირინე ჯაფარიძე, რომლებსაც ფოტოთეკა ებარა, ბუღალტერი ივანე შაფაქიძე, რომელიც ბოლომდე ინსტიტუტის თავდადებული და ერთგული მუშაკი იყო. სამხატვრო აკადემიიდან გადმოსული ვახტანგ ბერიძე დაინიშნა სწავლულ მდივნად. ბიბლიოთეკის გამგედ მოწვეული იყო ნატალია ელიავა, ფოტოგრაფად – გიორგი ბარტიშვილი.

სხვადასხვა ასაკისა და განათლების, განსხვავებული, ჩამოყალიბებული ხასიათის ადამიანებს ერთი რამ ჰქონდათ საერთო, რაც აერთიანებდა მათ – უზომო სიყვარული ქართული ეროვნული კულტურისა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა თავიანთი მოვალეობისადმი, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურებოდნენ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

ამ ერთგული კოლექტივიდან აღარავინ დაგვრჩა. ცოცხლობენ მხოლოდ ჩვენში მათზე მოგონებები, მათდამი ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

ჩვენი ინსტიტუტის ისტორია იმ დღიდან იწყება, როდესაც საქართველოში დაარსდა მეცნიერებათა აკადემია. ეს იყო 1941 წელს, მეორე მსოფლიო ომი კარზე იყო მომდგარი. სხვა ჰუმანიტარულ ინსტიტუტებთან ერთად ქართული ხელოვნების ძეგლთა შემსწავლელი ინსტიტუტიც ჩამოყალიბდა (თავდაპირველად სექტორის სახით), დამტკიცებული მეცნიერებათა აკადემიის 1941 წლის 1 აპრილის დადგენილებით, რომელსაც სწრაფად მოჰყვა სხვა დადგენილებებიც – პირველი, რომელიც სექტორს ინსტიტუტის უფლებებით სარგებლობას უმტკიცებდა, ბოლო კი, სექტორს – ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტად დაარსებას.

მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტის დაარსების დღედ სექტორის თანამშრომლების მიერ აღიარებული იყო 1 აპრილის და არა ბოლო დადგენილება. 1 აპრილს, როდესაც მიიღეს დამტკიცება სექტორის დაარსებისა, თანამშრომლებს არაფერი გააჩნდათ სიხარულისა და საზეიმო ვითარების გამოსახატავად, სურვილი კი დიდი იყო. რენე შმერლინგი სამსახურში დატვირთული ჩანთებით დადიოდა ხოლმე. ერთში წიგნები და თავისი სამუშაო ელაგა, მეორეში თავისი მრავალრიცხოვანი კატების სადამოს დასაპურებლად გზად ნაყიდი საჭმელი, მესამე პატარა ჩანთაში კი ყოველთვის ჰქონდა რაიმე სასუსნავი, რადგან მთელ დღეს სამსახურში ატარებდა. იმჯერად ჩანთაში მხოლოდ ერთადერთი წითელლოყება თურაშაული ვაშლი აღმოაჩინდა. როგორც ყოველთვის, რენე არ დაბნეულა, სწრაფად მოუფიქრებია, უჯრიდან კანაფი ამოუღია (მას ყოველთვის ყველაფერი ჰქონდა, რაც შეიძლებოდა დასჭირებოდა სამსახურში), შუა ადგილას ვაშლი ჩამოუკიდია, სასწრაფოდ გაუბიათ ოთახში ვაშლჩამოკიდებული კანაფი, რასაც სიცილი და მხიარულება გამოუწვევია. ასე იზეიმეს სიხარულის მომტანი პირველი დღე.

იმ დღიდან მოყოლებული წითელლოყა ვაშლი ბოლომდის იქცა სიხარულის მომტანი მოვლენის – ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების სიმბოლოდ და მისი წელთაღრიცხვის მაუწყებლად. ამ ამბავს ისეთი სიყვარულითა და აღტაცებით უყვებოდნენ ყველა ახლად მოსულს, რომ ჩვენზედაც გადმოდიოდა ის განცდილი სიხარული ისე, თითქოს ჩვენც იქ ვიყავით იმ დროს და ჩაგვებეჭდა კიდეც მახსოვრობაში "დამაარსებლების" პირველი ზეიმის დღე. მეორე წელს ჩამოკიდეს ორი ვაშლი, მესამე წელს – სამი და ა.შ. ინსტიტუტს წლები ემატებოდა, კანაფი ვაშლების სიმძიმეს ვეღარ უძლებდა, ტრადიცია კი გრძელდებოდა. ჯერ

ლამაზად დაწნულ კალათებში ნაწყობილი ამშვენებდა მაგიდას, შემდეგ კი... ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით 1 აპრილის ზეიმს.

სექტორის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად თავიდანვე დანიშნული იყო იმ დროისათვის სამეცნიერო საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილი, პეტერბურგიდან თბილისს 1917 წლის ბოლოს საბოლოოდ დასამკვიდრებლად ჩამოსული მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი, რომელსაც ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული ლაიფციგის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე, ხოლო ჰალეში სადოქტორო ნაშრომის გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორისა და თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის წოდება (1914).

როდესაც 1915 წელს გიორგი ჩუბინაშვილმა თავისი პირველი გამოკვლევა – საორბისის 1152 წლის მცირე ტაძრის შესახებ – გამოაქვეყნა, ნიკო მარის დაარსებულ ჟურნალ "ხრისტიანსკი ვოსტოკ"ში", ნიკო მარმა შენიშნა 29 წლის ახალგაზრდა მკვლევარის ნიჭი, შესაძლებლობა და ფართო განათლება. იმავე წელს, მან იგი პრაქტიკაზე გაგზავნა ანისში, მეორე წელს დაიხმარა სომხეთის ამ ძველი დედაქალაქის გათხრებზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა, შემდეგ თავის მოადგილედ დატოვა, თვითონ კი ვანში განაგრძო მუშაობა. 1916 წლის გიორგი ჩუბინაშვილის ნამუშევარი და გათხრების ხელმძღვანელობა ისე მოეწონა ნიკო მარს, რომ მასვე დაავალა ანისის ძველი მონაპოვარის აღწერაც, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1918 წელს ნიკო მარის რედაქტორობით.

1918 წელს, საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, კვლავ ყურადღებას იპყრობს გიორგი ჩუბინაშვილის მრავალმხრივი და ფართო განათლება და ხელმძღვანელობის ნიჭი. საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა ითვალისწინებდა არა მარტო ახალგაზრდობის მიერ უმაღლესი სპეციალური ცოდნის მიღებას, არამედ ფაკულტეტებთან დამოუკიდებელი კათედრების დაარსებასა და მეცნიერული მუშაობის დაწყებასაც მოასწავებდა. ამიტომ იყო, რომ უნივერსიტეტის პედაგოგიური კოლექტივის შერჩევას დიდი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დამაარსებლები. ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით, გიორგი ჩუბინაშვილის კანდიდატურა მიღებული და დამტკიცებული იყო. აქვე მინდა მოვიშველიო ბ-ნი გიორგის სიტყვები: "თბილისის უნივერსიტეტში ქართული ხელოვნების დამოუკიდებელი კათედრის დაარსებით 1918 წლის დეკემბრიდან იშლება ამ მეცნიერული დისციპლინის პირველი ფურცელი საქართველოში" (გ. ჩუბინაშვილი, საბჭოთა საქართველოს მიღწევები ხელოვნების დარგში, თბ., 1952, გვ. 4). ამ სიტყვებში მთელი სიცხადით ვლინდება მეცნიერის ბუნება. მას ყველაფერი ახარებდა, რაც საქართველოს სასიკეთოდ კეთდებოდა, არავის უკარგავდა საამისოდ გაწეულ შრომას. ხაზგასმული ნათქვამით – "დამოუკიდებელი კათედრების დაარსებით" – ყველასათვის ნათელი გახადა უნივერსიტეტის დამაარსებელთა მიერ კარგად გააზრებული, მიზანდასახული კათედრების ჩამოყალიბება, რაც სამეცნიერო მუშაობისათვის საძირკვლის ჩაყრას ნიშნავდა. ეს იყო პატივის მიგება და მათ მიერ გაწეული დიდი, მნიშვნელოვანი შრომის აღიარება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბ-ნი გიორგი თავიდანვე გვინერგავდა XIX საუკუნის სიძველეებით დაინტერესებულ მკვლევართადმი ან მათი შრომებისადმი პატივისცემას. განსაკუთრებით ძეგლთა დათარიღების დროს ყოველთვის გათვალისწინებული და მოხსენებული უნდა ყოფილიყო, რა ჰქონდათ უკვე გაკეთებული წინანდელ მეცნიერთ, სიძველეთა მკვლევართ, რომლებმაც ითავეს უმძიმესი სამუშაოს შესრულება, ეკლესიამონასტრებში თავმოყრილი უმდიდრესი მასალის აღწერა და წარწერების გადმოღება, მაშინ, როდესაც არც ფოტოფიქსაციის და არც ელემენტარული სამუშაო პირობებიც კი არ იყო. მიუხედავად ამისა, მათ საფუძველი და წინაპირობა შექმნეს სიძველეების მეცნიერული შესწავლის დაწყებისა.

მეცნიერებათა აკადემია კი დაარსდა, მაგრამ ყველა ინსტიტუტისთვის შენობის გამოყოფის საშუალება არ ჰქონიათ. ორი ინსტიტუტი – ისტორიისა და არქეოლო-

გიის და ჩვენი – საქართველოს ისტორიის მუზეუმში მოგვათავსეს, როგორც მაშინ ითქვა დროებით. ჩვენთვის ეს "დროებით" 1987 წლამდე გაგრძელდა. პირველი ჩვენი გადასვლა ახალ შენობაში ხანმოკლე აღმოჩნდა, მალევე დაგვაცლევინეს შენობა. გადაგვიყვანეს გამოთავისუფლებულ გაურემონტებელ შენობაში. ისიც იყო რემონტი დამთავრდა, ჯერ მთლიანადაც კი არ ვიყავით გადასულები, როდესაც მუხთალმა ჩვენმა ბედმა მთლად უსახლკაროდ დაგვტოვა დღემდე. ნეტავი არ გადავსულიყავით!! ვცხოვრობდით ერთად, მეგობრულად და ბედნიერები ვიყავით. ახალგაზრდობა, მუზეუმის ფეხბურთის ნაკრები გუნდის გულშემატკივრებიც კი ვიყავით, არ ვაცდენდით თამაშს, პირველ რიგში ჩავმწკრივდებოდით, ყოველი ბურთის გატანაზე, ჩვენი ტაშის გრიალი და კივილი იკლებდა იქაურობას.

ჩვენ მარტო სპორტი არ გვაკავშირებდა ერთმანეთს. ხშირად ვესწრებოდით ერთმანეთის მოხსენებებსა და სამეცნიერო სესიებს. საამისოდ მოწყობილი იყო სტენდი, მეორე სართულზე, ამომავალი კიბეების პირდაპირ, კედელზე ისე ჩამოკიდებული, რომ ყველა სართულის მობინადრე, კიბით ასვლისას ინფორმაციას ღებულობდა ყოველდღე.

ასე, მაგალითად, ერთ დღეს განცხადება აუწყებდა ყველას, რომ 1952 წლის 25 იანვარს რენე შმერლინგი კითხულობს მოხსენებას – "ოთხი კვირა პარიზში". მოხსენებაზე დამსწრეთა მსურველი ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ვფიქრობდით. გასაკვირია განა?! უპირველესად, რენესეული ემოციურად გადმოცემული მოხსენება და ისიც ასეთი მიმზიდველი სათაურით. მუზეუმს შეფარებული სამი დაწესებულების თანამშრომლებში საკმარისზე მეტიც იყო რენეს მოხსენების მოსმენის მსურველი. ოთახი გაჭედილი იყო მსმენელებით.

როგორც თავიდანვე განგვიცხადა მომხსენებელმა, მოხსენების მიზანი იყო გაეცნო ჩვენთვის 1951 წლის შემოდგომიდან ოთხი კვირის განმავლობაში პარიზის ყოველდღიური მხატვრული ცხოვრების სიახლეები. მოხსენებისათვის მას საილუსტრაციო მასალაც ჰქონდა შერჩეული. პირველად გაგვაცნო ყოველდღიური გაზეთი "Arts", რა სახის მასალები იბეჭდებოდა მასში. ყოველდღიურ ინფორმაციასთან ერთად – რა სპექტაკლები გადიოდა თეატრებში, რა ფილმებს უჩვენებდნენ კინოთეატრებში, ამასთანავე, პარიზის მრავალრიცხოვან სამხატვრო გალერეებში რა ახალი გამოფენები იყო მოწყობილი; იქვე მითითებული იყო რომელი რომელ საათებში მუშაობდა და მათი მისამართებიც. ასე რომ, ჩასული უცხოელი ღებულობდა მისთვის საჭირო სრულ ინფორმაციას. ამასთან ერთად, გაზეთში იბეჭდებოდა წერილებიც ცალკეულ მხატვრებზე, მათი შემოქმედების განხილვით, თანდართული ნამუშევრების რეპროდუქციებით.

რენემ გაგვაცნო სტატია პაულ პოგარტის (დაბ. 1917 წ.) შემოქმედების გარჩევით და გვიჩვენა რეპროდუქციები. მისი შემოქმედების გარჩევისას, აღნიშნული იყო, რომ ევროპელები მას მიიჩნევენ სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლად, რადგან, როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავდა, მხატვარი ცხოვრების ყოველ მხარეს გადმოგვცემს ყოველგვარი შელამაზებისა და სენტიმენტალიზმის გარეშე. მომდევნო სტატიები ეხებოდა თანამედროვე მხატვრების შემოქმედების განხილვას.

შემდეგ რენემ მოგვატარა სხვადასხვა გალერეები, შეჩერდა პიკასოს ნამუშევრებზე. ლალი ჯავახიშვილი ცოტა დაგვიანებით მოვიდა, მაშინ როდესაც გამოფენიდან გამოფენაზე (ქუჩების დასახელებით) გვატარებდა რენე ისე ცოცხლად და დამაჯერებლად, თავისი კომენტარებით ყოველ გამოფენას ისე გვაცნობდა, რომ ბ-ნ ლალის, რომელსაც შესავალი სიტყვა არ ჰქონდა მოსმენილი, სრული შთაბეჭდილება შეექმნა, რომ რენე თავის პარიზში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა და მორიდებით შემეკითხა: "როდის იყო რენე პარიზში, მე მას ყოველ დღე ინსტიტუტში ვხვდებოდი?!" – "ყოველდღიური პარიზის გაზეთებითა და ჟურნალებით", ვუპასუხე მე და ორივეს ჩუმად გაგვეცინა. ვფიქრობ, ორივეს ერთი და იგივე აზრმა გაგვიელვა – "რას არ მოიგონებს ეს ნიჭიერი ქალბატონი".

უნებლიედ მომაგონდა ჩემი ექსპედიციაში პირველი წასვლის დღეც. რენემ გამომიძახა და მითხრა: "ხვალ ჩაიცმევ ძველ, დახეულ კაბას, მხარზე გადაიკიდებ ფოტოაპარატს და რვა საათისთვის იქნები მუზეუმის კარებთან. მიედიერით ბოლნისში, ძეგლზე სამუშაოდ". კარებთან მისულს მომაძახა: "ფირების ყიდვა არ დაგავიწყდეს. შინ გააფრთხილე, გვიან ჩამოვალთ, ქაფანაქჩიშიაც უნდა გავიაროთ, ძეგლის სანახავად".

ჩვენს ოთახში რომ შევედი, მოვყევი ჩვენი საუბარი და ვთქვი, რომ აპარატს წავალ და ვიყიდი, მაგრამ დახეულ კაბაზე როგორ მოვქცეულიყავი არ ვიცოდი. არც ის ვიცოდი, რაკი საჭმელზე არაფერი ჰქონდა ნათქვამი, რა უნდა გამეკეთებინა. სხვებმა სიცილი დაიწყეს და გამაგებინეს, როგორც უნდა მოვქცეულიყავი – უნდა ჩამეცვა სახლის კაბა, რომელიც რენეს არ ენახა, აუცილებელი არ იყო, რომ დახეული ყოფილიყო, ეგ სიტყვის მასალად არის ნათქვამიო; რაც შეეხებოდა საუზმეს, ბუნებრივი ყოფილა, რომ არაფერი უთქვამს, რადგან ძეგლზე რენეს საჭმელი არ სჭირდებოდა. მე გავიცანი რენეს ხასიათის კიდევ ერთი მხარეს.

ძეგლზე რომ მივედით, მკითხა – ფირი თუ დევს აპარატშიო. მე დაუფარავად ვუთხარი, რომ ფოტოაპარატი ხელში არასოდეს მჭერია და შიშით ველოდი პასუხს. მითხრა: "არაფერია". ფოტოაპარატი დამიტენა, მასწავლა, მზიან და ღრუბლიან ამინდში რამდენად გამეხსნა დიაფრაგმა და რა სიჩქარით გადამეღო. ეს იყო და ეს. მას შემდეგ მხრებიდან ფოტოაპარატი არ მომიცილებია, ჩემი მუდმივი თანამგზავრი იყო ექსპედიციებში, რის გამოც დიდად მადლიერი ვარ რენესი.

თვეში ერთხელ ან ორჯერ, იმისდა მიხედვით, რამდენი ან რა სახის განსახილველი მასალა გროვდებოდა, ბ-ნი გიორგი იწვევდა მეცნიერ თანამშრომელთა სხდომას, რომელზედაც ირჩეოდა ინსტიტუტის სახელზე მოსული ოფიციალური წერილები, ზოგჯერ დირექტორის სახელზე მოსული და მისი პირადი წერილებიც, რასაც თვლიდა, რომ ყველას უნდა სცოდნოდა.

შემდეგ განხილვის საგანს წარმოადგენდა ინსტიტუტის ცხოვრების მორიგი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც იყო, მაგ., სამეცნიერო სესიის მომზადება – განსაზღვრა, რამდენი და რა სახის მოხსენებები იყო მზად და წარმოაჩენდა თუ არა ქართული ხელოვნების ყველა დარგს; რა სახისა და რამდენი საილუსტრაციო მასალა მოგვეპოვება, რომ დადგენილიყო თავიდანვე, რამდენი დღე დასჭირდებოდა მოხსენებებს.

სხდომებზე ვისმენდით აგრეთვე წლიურ სამეცნიერო თემებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, სამეცნიერო ექსპედიციებისა და მივლინებების ანგარიშებს. განიხილებოდა მომავალი ექსპედიციებისა და მივლინებების საკითხიც.

ერთ-ერთ სხდომაზე ბ-ნმა გიორგიმ გვაცნობა თავის პირად წერილში ამოკითხული ამბავი, რომ გადაწყვეტილია ომის დროს გერმანიიდან წამოღებული დრეზდენის გალერეის განძეულობის დაბრუნება. დაბრუნებამდე მოსკოვში ა. პუშკინის სახელობის სახ. მუზეუმში მოეწყობაო "დრეზდენის მსოფლიო შედევრების გამოფენა". გადაწყვეტილი მაქვსო, თანამშრომელთა განსაზღვრული ჯგუფი გავგზავნო მოსკოვს გამოფენის დასათვალიერებლად. მოკლე ხანში უნდა დაზუსტებულიყო, რამდენი თანამშრომლის მივლინებას შესძლებდა ინსტიტუტი. მოუთმენლად ველოდით, როდის გამოირკვეოდა ინსტიტუტის სამივლინებო თანხის საკითხი და რამდენი გამოიყოფოდა მოსკოვში წასასვლელად. ექსპედიციების დრო ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და თანხა მათთვისაც უნდა გადადებულიყო.

ჩვენი ერთადერთი იმედი იყო ჩვენი ბუღალტერი ბ-ნი ვანო შაფაქიძე – კაცთმოყვარე, გულისხმიერი და ინსტიტუტის ერთგული ადამიანი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა სხვისთვის სიკეთის გაკეთებას, რომ გაეხარებინა ის და ამით თვითონაც ხარობდა. ვიცოდით, რომ ბ-ნი ვანო ყოველ ღონეს იხმარდა (რასაკვირველია, როგორც ყოველთვის ამბობდა "კანონის ფარგლებში") და რაღაცას გამონახავდა, რომ რაც შეიძლება მეტი თანამშრომელი გაეშვა მოსკოვში.

მოსკოვ-ლენინგრადში, გაგმიური მივლინებებით რომ მივემგზავრებოდით, მოგვისვამდა ხოლმე გვერდით და ყველაფერს სათითაოდ ჩამოგვითვლიდა – "ეს დღიურებისაა, ეს კი მგზავრობის. რადგან ავანსია, ცოტა მეტის გამოწერა დაშვებულია". "რა ვიცი, იმ სიშორეზე მიდიხარ, რა დაგაკლდეთ, ვინ დაგეხმარებათ", თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე. წინასწარვე გვაფრთხილებდა, რომ გაუფორმებელი თანხა პირველივე ხელფასზე გამოიქვითებოდა.

ეს ყველამ კარგად იცოდა, შეხსენება არავის სჭირდებოდა. წესად იყო მიღებული, რომ გამოვცხადდებოდით თუ არა ინსტიტუტში, იმავე დღეს ბუღალტერიაში უნდა ჩაგვებარებინა ფინანსური ანგარიში. გადახარჯვის შემთხვევაში, პირველივე ხელფასიდან ამორიცხული იყო თანხა, მიცემული პირობა – უსიტყვოდ სრულდებოდა.

თინა ვირსალაძეს ძალიან მოსწონდა ბ-ნ ვანოს გაჯავრება ხელფასის მიღების დროს, წინასწარ ვიცოდით, რა სცენას გაითამაშებდა თინა და იქვე ვტრიალებდით, ისიც კარგად ვიცოდით, რა მხიარული სიცილითა და შეძახილით დამთავრდებოდა ყველაფერი.

წინასწარი შეთანხმება კი ყოველთვის ასეთი იყო: "ქალბატონო თინა, თქვენ დიდად საპატივსაცემი ქალბატონი ბრძანდებით და მეც მინდა სათანადო დახმარება გაგიწიოთ, როგორც თქვენ გეკადრებათ". ბ-ნი ვანო მასაც დაწვრილებით მოუყვებოდა და აუხსნიდა ყველაფერს, მაგრამ ხელფასის აღების დროს თინა მაინც გაკვირვებული ხმით შეეკითხებოდა – "ბატონო ვანო, რატომ არის დღეს ასეთი პატარა ხელფასი?!" ჩვენ სიცილთან ერთად გაისმოდა ხოლმე აღშფოთებული შეძახილი – "შეხედეთ ამას?!". მაგრამ ისეთი სითბოთი და თავისებური კილოთი იყო ხოლმე ნათქვამი, რომ ყველას გვეღიმებოდა. ამ დროს კარებთან მისული თინა ხელის ქნევით ემშვიდობებოდა და თან მიმართავდა – "ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ბ-ნო ვანო!" ბოლოს კი ხვდებოდა ივ. შაფაქიძე, რაშიაც იყო საქმე. იუმორის გრძნობაც ჰქონდა ბ-ნ ვანოს და, სხვათა შორის, ანეგდოტებიც ძალიან უყვარდა.

გადაწყდა დრეზდენის გამოფენაზე გამგზავრების დღეც – 1955 წლის 15 სექტემბრიდან, ორი კვირით. ბუღალტერიას გადაეცა სია გასაფორმებლად და კანცელარიაშიც ყველა შეწუხდა: სიაში არ აღმოჩნდა ნიკო ჩუბინაშვილი. მოვიდნენ და გვთხოვეს, შევსულიყავით ბ-ნ გიორგისთან თხოვნით. მოვიდა ნიკოც.

შევედით კაბინეტში და ბ-ნმა გიორგიმ დაგვასწრო: "ვიცი, რისთვისაც მოხვედით, ინსტიტუტს მეტი შესაძლებლობა არა აქვს, გადაეცით ნიკოს, რომ მას მამა აკადემიკოსი ჰყავს, ამოიღოს ჯიბიდან ფული და მისცეს. ინსტიტუტი კი დაეხმარება იმით, რომ გამოფენაზე შესვლა და მუშაობა არ გაუჭირდეს". უხმოდ გამოვედით ნათელა ალადაშვილი, ანელი ვოლსკაია და მე და ნიკოს სიტყვასიტყვით გადავეცით დაბარებული. ასე წამოვიდა ნიკო ჩვენთან ერთად გამოფენაზე.

ა. პუშკინის სახ. მუზეუმის დირექციამ დიდი დახმარება გაგვიწია – ისეთი საშვი მოგვცა, რომ ყოველ დღე ორჯერ შეგვეძლო მუზეუმში შესვლა და მუშაობა ორ-ორი საათი, იმ დროს დარბაზებს ანიავებდნენ, ასუფთავებდნენ და ისინი დაცარიელებული იყო ხალხისგან; წყნარად ვმუშაობდით, წინ კედელივით მაყურებლები არ გვეფარებოდნენ, უკან მდგომი ხელს არ გვკრავდა, წინა ადგილი რომ დაეკავებინა.

მინდა დავუბრუნდე ნიკოს თავისებურ ხასიათს, რომელსაც ძალიან უყვარდა ინსტიტუტი, რატომღაც მორიდებით კი ეჭირა თავი. ასეთი იყო მამის მიმართაც. უფრო მეტად ჩვენ გვიზიარებდა თავის აზრებს, როდესაც ექსპედიციიდან ჩამოდიოდა და ახალი ძეგლის შესწავლაზე გვესაუბრებოდა. საკმარისი იყო რაიმე საწინააღმდეგო გვეთქვა, იმავე წუთში შეგვაწყვეტინებდა და იტყოდა: "И не спорь. Папа так сказал"; ამასთან ერთად, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ერთი სიტყვაც არ ექნებოდა ნათქვამი მამისათვის. ამიტომ იყო, რომ მოვუძებნეთ მეტსახელი და შევარქვით "Папа так сказал". ისე იყო წყნარი, არავისთან უსიამოვნება არ მოსდიოდა, ყველასთან ერთნაირი თავაზიანი ურთიერთობა ჰქონდა. ვიცოდით მისი

უცნაური ხასიათი და "ახირებებს" ვპატიებდით. მაგრამ ერთხელ ისე გამომიყვანა წონასწორობიდან, რომ ვახტანგ ბერიძე ოთახში რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, როგორ დასრულდებოდა ჩვენი კამათი.

ვახტანგ ცინცაძე იყო ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარე. ზაფხულში ხშირად ქალაქში არ იმყოფებოდა ("ძეგლთა დაცვის საზოგადოების" ერთერთი წამყვანი წევრი იყო), ამიტომ მე (როგორც მის მოადგილეს) დამევალა ზაფხულის თვეებში ბ-ნი გიორგისათვის, ადგილკომის ხაზით, საგზურების მოგვარება. ადვილი გასაგებია, კეთილმოწყობილ, კარგ დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში საგზურები ვისზე ნაწილდებოდა. ამიტომ ადრევე იყო საჭირო ზრუნვა მათ მოსაპოვებლად. თავიდანვე ვთხოვდი ბ-ნ გიორგის რამდენიმე ადგილის და მისთვის სასურველი თვეების დასახელებას. ბ-ნი გიორგის პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო – "სადაც მოხერხდება". იმ წელს, მორიდებით მითხრა, მინდა რიწის ტბა ვნახო და იქ თუ მოხერხდება, კარგი იქნებაო; დრო კი ზუსტად ჰქონდა განსაზღვრული – "ივლისი – აგვისტოს 20 რიცხვამდე, რადგან 20ში აუცილებლად უნდა ვიყო თბილისში. ამ ფარგლებში, როცა კი მოხერხდება".

ბედმა გამიღიმა და ვიშოვე ორი საგზური 1 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით. როდესაც მივუტანე, დიდად ნასიამოვნები დარჩა. წასვლისას კიდევ ერთხელ გამაფრთხილა – "გაგრძელება არ დამჭირდება"-ო, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა ხოლმე. აგვისტო იმ წელს დიდი სიცხეებით დაიწყო და უფრო მეტ სიცხეს მოელოდნენ. ნიკო რამოდენიმეჯერ იყო ჩემთან, მთხოვდა მისი მშობლებისთვის დეპეშა გამეგზავნა, რომ დარჩენილიყვნენ, ამ სიცხეს ვერ გაუძლებენ თბილისშიო. ბოლოს გაჯავრებულმა ვუთხარი კიდეც, რომ ტყუილად მთხოვდა, ამის გამკეთებელი მე არ ვიყავი, ამის უფლება მე არ მქონდა. შვილი შენა ხარ და როგორც გინდა, ისე მოიქეციმეთქი. ასე გავისტუმრე მესამედ მოსული ნიკო.

ბ-ნი გიორგის დაბრუნების წინა საღამოს შინ მომიტანეს დეპეშა – "მადლობელი ვარ. დარჩენა არ შემიძლია. გიორგი ჩუბინაშვილი". მთელი ღამე თეთრად გავათენე: რა შეატყობინა ნიკომ, რა ტექსტი გაუგზავნა ჩემი სახელით, რა მდგომარეობაში ჩამაგდო, რა უნდა ეფიქრა ბ-ნ გიორგის ჩემზე. რა უფლება მქონდა, მეკარნახა მისთვის დარჩენა, როდესაც გაფრთხილებული ვიყავი, საგზურის გაგრძელება არ დასჭირდებოდა.

როგორ მივედი ინსტიტუტში, არ მახსოვს. ვიცოდი, რომ ნიკო პირველი მოვიდოდა და სიცილით შემეგებებოდა, რადგან, რაც უნდოდა, შეასრულა. ისე შევვარდი ოთახში, რომ ვახტანგ ბერიძე ვერ შევამჩნიე. ნიკოს გაღიმებული სახე რომ დავინახე, ხელში დეპეშით, ჩემთვის საჩვენებლად რომ ჰქონდა გადაწერილი, ეტაცე დეპეშას ხელი და ძლივს წავიკითხე, ისე ვღელავდი: "ცხელა. ვიხუთებით. სუნთქვა ჭირს. დარჩით. გაგიგრძელებთ. რუსიკო". დეპეშის ტექსტმა სულ მთლად შემშალა. ვერაფრით გავაგებინე ნიკოს, რომ ეს თავხედობას ნიშნავს. ვერც ვახტანგმა და ვერც მე გავაგებინეთ ვერაფერი – ნიკო გაიძახოდა, ეს თავხედობა კი არ არის, საკუთარი დირექტორისადმი ყურადღების გამოხატვააო.

მეტის გაძლება აღარ შეიძლებოდა, ვახტანგის მომერიდა და ოთახიდან გავედი. ბიბლიოთეკიდან გამოსული, კაბინეტისაკენ მიმავალი ბ-ნი გიორგი რომ შევნიშნე, ოდნავ შევჩერდი, უხერხული იყო . . . და განვაგრძე გზა. მივესალმეთ ერთმანეთს, კაბინეტის კარებთან, ხელგაწვდილმა მითხრა: "შემოდით". შესვლისთანავე, მან მკითხა: "რას ფიქრობთ, მე დავიჯერებდი, რომ თქვენი გამოგზავნილი იყო დეპეშა? ნიკოს მეტი ვინ გააკეთებდა ამას? დაწყნარდით, ტყუილად ღელავთ, რაც იყო, დაივიწყეთ". მადლობა გადავუხადე და გამოვედი კაბინეტიდან ბედნიერი, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამომხსნეს ზურგიდან.

ეს მხოლოდ ბ-ნ გიორგის შეეძლო. მან ხომ კარგად იცოდა, ვინ რაზე და როგორ რეაგირებდა. რომელიმეს აღელვებულს ან დაღონებულს რომ დაინახავდა, გამოელაპარაკებოდა ან გამოიძახებდა თავისთან, გამოკითხავდა მუშაობის შედეგებს,

სხვა საკითხებზე გადაუტანდა საფიქრალს და დამშვიდებულს გაისტუმრებდა. ბ-ნი გიორგის ასეთ მზრუნველობას ყოველთვის და ყველანი ვგრძნობდით. მეც გამომიცდია მისი ზრუნვა და დახმარება, თუმცა, უნდა გულახდილად ვაღიარო, რომ იმ წუთებში ამას უცებ ვერ მივხვდი.

1958 წლის 29 მარტს, დილით მე და მამა სახლიდან ერთად გამოვედით. მე ინსტიტუტში მივდიოდი სამუშაოდ, მამას კი ერთი წლის შვილიშვილი ჰაერზე გასატარებლად მიჰყავდა. ერთი საათიც არ იყო გასული, როდესაც შინიდან დამირეკეს, რომ სასწრაფოდ მივსულიყავი. მივედი, მაგრამ უკვე გვიანი იყო – მამა უგრძნობლად იყო, ექიმი კი იმედსაც არ იძლეოდა...

იმ წელს აპრილის თვეში ადრევე იყო დაგეგმილი ექსპედიცია და წამსვლელთა სიაც იყო შედგენილი. ექსპედიცია თავის დროზე გაემგზავრა სამუშაოდ. სიით რამდენიმე თანამშრომელი აკლდა, რაც იშვიათი შემთხვევა იყო. ბ-ნი გიორგი არავის პატიებდა ექსპედიციის გაცდენას. მეორე დილისათვის ყველანი დაბარებული ვიყავით. ბ-ნმა გიორგიმ მკაცრი ხმით ყველას გამოჰკითხა მიზეზი გაცდენისა. მე ბოლოში ვიჯექი და ვღელავდი. მკაცრად შემეკითხა: "თქვენ?" "ბატონო გიორგი . . . " შემაწყვეტინა სიტყვა და მითხრა: "თქვენი სამსახურებრივი მოვალეობის გამო, ვალდებული იყავით ექსპედიციაში ყოფილიყავით. ხვალიდან, დილიდანვე დაიწყებთ სიარულს". მე კი ექსპედიციის წინა დღით დავკრძალე მამა...

ბ-ნი გიორგი მაშინათვე ადგა და გავიდა ოთახიდან. ვიჯექი და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი – რატომ? რატომ გამიჯავრდა ასე ბ-ნი გიორგი, ხომ იცოდა, რაც დამატყდა თავს?! სანამ გული არ ვიჯერე ტირილით, გონება არ მოვიკრიბე და არ დავმშვიდდი, არ გავიხსენე მისი ბოლო სიტყვები: "ხვალიდან დილიდანვე დაიწყებთ სიარულს", მხოლოდ მაშინ მივხვდი, რაშიაც იყო საქმე. ამ სიტყვებმა გონს მომიყვანა, მომავლის რწმენა დამიბრუნა. მეორე დღეს დილიდან ვიჯექი ინსტიტუტში და ვმუშაობდი. თუ არა ეს შეხვედრა, არ ვიცი, როგორ წავიდოდა ჩემი მომავალი ცხოვრება.

ასპირანტურაში გამოცდების ჩაბარება რომ დავამთავრე, მითხრეს, ნუ ელი პასუხს, დამტკიცებას, იარე ყოველდღე ინსტიტუტში, შენი ბედი გადაწყვეტილიაო. მართლაც, დავდიოდი ინსტიტუტში, ვეჩვეოდი თანამშრომლებს და ინსტიტუტის ტრადიციებს. 1 აპრილის წინა დღეები იყო. დაეძებდნენ ბ-ნი გიორგისთვის სამახსოვრო საჩუქარს, მსჯელობდნენ, რა და როგორი უნდა ყოფილიყო, წითელი ვაშლებისათვის კალათას და წითელ ვაშლებს. ისეთი სიხარული და მხიარული განწყობილება იყო შექმნილი, გეგონებოდათ სხვა დაწესებულებაში მიხვედითო, იმდენად განსხვავდებოდა ვითარება ინსტიტუტის ჩვეულებრივი სამუშაო დღისგან, როდესაც ყველა თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა. 1 აპრილის წინა დღეს გამაფრთხილეს, ხვალ დილიდანვე უნდა მოხვიდეო. ყველანი როდესაც შეიკრიბნენ, მე მოვემზადე შინ წასასვლელად, მტაცეს ხელი და მითხრეს: "ბატონი გიორგის დავალებით, უნდა მიგიყვანოთ მასთან ჩვენს ზეიმზე". ჩემმა უარმა არ გასჭრა. ასე მოვხვდი პირველად 1 აპრილის (მეცხრე) ზეიმზე. მაშინ ინსტიტუტში 14 მეცნიერ თანამშრომელი, სულ კი 21 მუშაკი იყო. როცა მივედი ბ-ნ გიორგისთან მისალოცად, მითხრა: "იცოდეთ, ეს დღე ჩემთვის ყველაზე სასიხარულო დღეა და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზეიმოთ ის ჩემს სახლში". იყო ნამდვილი სიხარული და საზეიმო ვითარება. ყველა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, სახეგაბრწყინებული, მხიარული, გაქრა ასაკობრივი განსხვავება, უფროსუმცროსობა, ყველანი თითქოს თანატოლები ვიყავით. ბ-ნი გიორგი უყურადღებოდ არავის ტოვებდა. 1 აპრილის პირველი ჩემი ზეიმის დასწრება სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში.

მეორე წელს ადრევე დავიწყეთ მზადება, რადგან საიუბილეო წელი იყო – ინსტიტუტს 10 წელი უსრულდებოდა. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს პატარა წერილები ძეგლებზე, ექსპედიციაში ყოფნის დროს დაწერილი და დამუშავებული, ინსტიტუტში წაკითხული, როგორც ექსპედიციის ანგარიში, საკმაო რაოდენობის ილუსტრა-

ციებით, მოეყვანათ წესრიგში, წიგნად შეეკრათ, სქელ ყდაში. მე, რადგან ჯერ არ მქონდა ასეთი ნაშრომი, ვუთხარი, თუ თქვენი თანხმობა იქნება, მეც ჩემი ხელით შესრულებულ წიგნის ვერცხლის სანიშნს გავაკეთებ; შევარჩიოთ შუა საუკუნეების რაიმე ორნამენტი და გრავირებით შევასრულებმეთქი. ყველას ძალიან გაეხარდა – უფრო სხვა ეფექტი ექნება ჩვენს საჩუქარსო. ახლა მთავარი მოსწრება იყო. შევარჩიეთ XII საუკუნის ასტრონომიული ტრაქტატის ილუსტრაციებიდან – ზოლი, რომელიც პატის თავებიდან და გეომეტრიული ორნამენტისებრი მოტივისგან შედგება. მოვასწარი და, მართლაც, ახალგაზრდების საჩუქარმა დიდი მოწონება დაიმსახურა (უფროსებმა კი გვითხრეს საყვედური – რატომ დაგვიმალეთო). ისეთი სიხარულით სინჯავდნენ ბ-ნი გიორგი და ქ-ნი ნინო საჩუქარს, რომ ერთხმად გადაწყდა – ყოველ წელიწადს, ინსტიტუტისგან საჩუქრად შესრულდებოდა კიდევ უფრო დიდი ალბომი, ექსპედიციებში გადაღებული მრავალი ფოტოსურათით. იმ დღიდან შემოვიღეთ ახალი ტრადიცია, რომელიც ბოლომდე სრულდებოდა.

ასპირანტთა მიღებით (წელიწადში – ერთი ადგილი) ნელნელა იზრდებოდა ინსტიტუტის თანამშრომელთა რიცხვი, თანდათან ემატებოდა მას ინსტიტუტში შემოღებული სტაჟირების გავლით მოსული ახალგაზრდობაც. ერთი ან ორი წელი ისინი ესწრებოდნენ მოხსენებებს, ჩვენს ექსპედიციებში იღებდნენ მონაწილეობას. სტაჟირების პერიოდში, როგორ გამოიჩენდნენ თავს, იმისდა მიხედვით ხდებოდა მათი შერჩევა, მერე კი აბარებდნენ გამოცდებს.

ჩვენი 1 აპრილის ზეიმი ფართო ხასიათს ღებულობდა. ერთი ოთახი ველარ იტევდა სტუმრებს, ორ ოთახში იშლებოდა სუფრა. მე უკვე რუსუდანის (ბ-ნი გიორგის ქალიშვილის) დამხმარე ვიყავი. უფროსები ღელავდნენ, რომ ოჯახისთვის ასეთი მრავალრიცხოვანი მიმსვლელების გამასპინძლება მძიმეა. რუდა მეფისაშვილმა კარგად იცოდა, რომ, როგორც ყოველთვის, 1 აპრილის წინა დღეებში, ბ-ნი გიორგი მეტყვის – რუსუდანს დაურეკეო. ამიტომ მან გადაწყვიტა, დაესწრო, ჩვენ შეგვეყარა სალაპარაკოდ და გაგვეცნო თავისი წინადადება – 1 აპრილს ბ-ნ გიორგისთან მივსულიყავით ჩვენი საგზლით და არა მარტო (რასაც ყოველთვის ვაკეთებდით) ტორტით და მიხეილ მამულაშვილის გაკეთებული, ჩვენი ვაშლებით ავსებული, ყვავილებით ლამაზად მორთული კალათით, სამახსოვრო საჩუქრად ფოტოალბომით. აქ, მაშინ წამოჭრილ განსხვავებულ აზრებზე არ შევჩერდები, მაგრამ უმეტესობის აზრი იყო, რომ ბ-ნი გიორგი შეურაცხყოფად მიიღებდა, მის საყვარელ 1 აპრილის ზეიმზე ქვაბებით და ჯამჭურჭლით რომ მივდგომოდით კარზე. რუდამ ამას არ მიაქცია ყურადღება და დაიწყო სიის შედგენა – ვის რისი გაკეთება შეუძლია. წამოიჭრა საკითხი, სხვა თუ არა, წინასწარ ხომ უნდა გვეთქვა მისთვის მაინც – "ბოდიშს ვიხდით, პატივცემულო გიორგი, ამჯერად თქვენ ნუ შეწუხდებით, ჩვენ ჩვენი პურმარილით მოვალთ ახლა და მომავალშიც". აქ უკვე წამოიჭრა კითხვა – ვინ მივა და ეტყვის ბ-ნ გიორგის ამ გადაწყვეტილების შესახებ?! რუდას ესეც მოფიქრებული ჰქონდა – "როცა ბ-ნი გიორგი დაიბარებს რუსიკოს, მივა და გადასცემს ჩვენს გადაწყვეტილებას". აღშფოთებულმა ვუთხარი: "ნურც გაიფიქრებთ, რომ მე მაგის მთქმელი ვარ", ავდექი და გავედი ოთახიდან.

ჩვენ მტერს, რაც ჩვენ ორი დღის შემდეგ გადაგვხედა. შემოვიდა გაჯავრებული ბ-ნი გიორგი ოთახში, არც დამჯდარა, დაჰკრა მუშტი მაგიდას და გვითხრა: "გიმეორებთ, ეს დღე ჩემია, სანამ მე ცოცხალი ვარ, ისე ჩატარდება, როგორც ნაფიქრებული მაქვს, შემდეგ თქვენი გადასაწყვეტია, როგორ გააგრძელებთ ამ ტრადიციას". გვერდით რომ ჩაგვიარა, მითხრა: "რუსუდანს დაურეკეთ" და გავიდა ოთახიდან.

1 აპრილი ბ-ნ გიორგის დღედ დარჩა, სამაგიეროდ, ჩვენ სამუდამოდ დავამკვიდრეთ ინსტიტუტში ბ-ნი გიორგის დაბადების დღის აღნიშვნა. თუ წინა წლებში ჩვენ საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, ვიწრო წრეში ვზეიმობდით, მისი 80 და 85 წლის ზეიმმა ფართო სახე მიიღო. ჩვენთან მოწვეული იყვნენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები და ცნობილი მეცნიერები.

გახარებული ბ-ნი გიორგი უსმენდა მისი განვლილი მუშაობის შეფასებას, დადასტურებას იმ კვლევის სისწორისა, რომელიც ხშირად იმათგან იყო შელახული და განქიქებული, ვისაც მეცნიერების არაფერი ესმოდათ და თავიანთი თანამდებობებით სარგებლობდნენ. თავიანთ მილოცვებში ბ-ნები აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ილია აბულაძე მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის ნამდვილ, სწორ კვლევის მეთოდებსა და შედეგებს, აღნიშნავდნენ, რომ მეცნიერმა თავისი ფუნდამენტური შრომებით, ქართულ ხელოვნებას მკვიდრი ადგილი მიუჩინა შუა საუკუნეების მსოფლიო ხელოვნების მწკრივში.

გამოსვლებში ისმოდა აღიარება მეცნიერის უდიდესი ღვაწლისა, საქართველოში ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებასა და ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევართა მეცნიერული სკოლის დაარსებაში. ეს იყო დიდი ზეიმი და აღიარება მეცნიერისა, რაც მან დაიმსახურა თავისი მტკიცე ხასიათითა და თავისი გზის სისწორის რწმენით.

თუმცა, ყოველთვის ასე არ ყოფილა. თუ 1922 1923 წლების ანტირელიგიურმა ტალღამ შეიწირა მრავალი მაღალმხატვრული საეკლესიო ნივთი, მოგვიანებით, 1940 1950იან წლებში, ახალი იდეოლოგიის განმტკიცების მიზნით, ჩრდილოეთიდან მობერილი ქარი გაცამტვერებას უპირებდა მარქსიზმისათვის უცხო იდეების ყოველგვარ გამოვლინებას. ამ "იდეოლოგიურ დამახინჯებებს" ეძებდნენ წიგნებში, გაზეთებში, ჟურნალებში, მეცნიერულ შრომებსა და რედაქციებში, სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობაში და "გამოვლენილ გადახრებს" მოჰყვებოდა სათანადო "მკაცრი კრიტიკა". რასაკვირველია, "მკაცრი კრიტიკის" საგანი ჩვენც ვიყავით.

ივსებოდა გაზეთები წერილებით, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჟურნალისტები სტატიების ეფექტური სათაურების მოგონებაში – "თანამედროვეობისაგან მოწყვეტისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ხელოვნებათმცოდნეობაში" (1948 წ., 18 ივნისი, "კომუნისტი"), "ველფლინის ფორმალისტური სქემების ტყვეობაში" (1952 წ., 11 აპრილი, "ლიტერატურა და ხელოვნება", თავად რედაქტორის ვრცელი წერილი); ყოველგვარ ეთიკის ნორმებს გადააჭარბა ერთმა, მაღალი თანამდებობის პირის ხელმოწერილმა, წერილმა ჟურნალ "კომუნისტში" (1952, № 12; ამაზრზენია თვით სათაურის გახსენებაც, რომლის წარმოდგენაც კი მიჭირს), რომელიც უფრო მეტად მისი ავტორის "აღზრდაგანათლებას" ამჟღავნებდა, ვიდრე იმ საკითხის ელემენტარულ ცოდნას, სხვისი დაწერილით რომ აკრიტიკებდა ავტორი. გვიტევდნენ, მაგრამ უსაფუძვლოდ.

ამ დროის კრიტიკულ წერილებში, ლანძღვასთან ერთად, იმასაც ვერ ფარავდნენ, რომ ინსტიტუტის მკვლევართა ნაშრომებში აღნიშნულია და დამტკიცებული, რომ (თვითვე მოჰყავდათ გიორგი ჩუბინაშვილის შრომებიდან ციტატები) "ქართული ხელოვნება გაზრდილია ფართო ხალხურ საფუძველზე . . . რომ ის არაა ხელოვნურად დამყნობილი და გარედან გადმოტანილი" (გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია). საწინააღმდეგოს რომ ვერაფერს ახერხებდნენ, ამას "დეკლარატიულ განცხადებებად" ნათლავდნენ, დასკვნით ნაწილში კი აღნიშნავდნენ, რომ "კვლევაძიების დროს ეყრდნობიან არა მარქსისტულ მეთოდებს, არამედ ფორმალიზმს რომელიც ნასესხებია დასავლეთის ბურჟუაზიულ ხელოვნებათმცოდნეობის არსენალიდან".

კიდევ ერთი რაც მათ ჩვენს მუშაობაში აწუხებდათ, იყო ის, რომ შუა საუკუნეების შესწავლისას "ინსტიტუტის შრომების თემატიკა ძირითადად განსაზღვრულია საეკლესიო ხელოვნების თემატიკით". იმას კი არ წერდნენ, რატომ?!

მარქსიზმ-ლენინიზმის ბრმად მიმდევრები, ციტატების მოყვანით გატაცებული ცილისმწამებლები, ვერ გებულობდნენ, როგორ პასუხობდნენ მათ უაზრო გამოსვლებს და წერილებს ნამდვილი მეცნიერები – ჯერ დუმდნენ (ამასაც საყვედურობდნენ მათ), ბოლოს კი მკაცრი, დასაბუთებული კრიტიკით პასუხობდნენ.

ასეთი იყო დისკუსია, რომელიც მოწვეული იყო ინსტიტუტის მოთხოვნით, რათა

გადაწყვეტილიყო ერთხელ და სამუდამოდ, მარქსიზმის ბელადების უზომო რაოდენობის ციტატების მოყვანით უნდა ისწავლებოდეს თვითმყოფადი, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, თუ მხატვრული ანალიზის საფუძველზე.

დაინიშნა დღე, მაგრამ ჩვენი მთავარი გამკრიტიკებელი მოსკოვში იმყოფებოდა. მეორედ, დანიშნულ დღეს მოხდა მეტად კურიოზული ამბავი. იგივე პირი მოვიდა დროზე ადრე და, იმავე მოსკოვში წასვლის მიზეზით, დისკუსიის კვლავ გადადებას ითხოვდა. როდესაც კატეგორიული უარი მიიღო, მაშინ ბ-ნ გიორგის გადასცა მოხსენება და სთხოვა, დაერთოთ დისკუსიის მასალებისათვის. მას შესთავაზეს, თუ მოისურვებდა, მოხსენება წაკითხული იქნებოდა დისკუსიის მსვლელობის დროს. შეთავაზება დიდ პატივად იყო მიღებული მის მიერ და დათანხმდა.

საკითხი დადგა – ვინ წაიკითხავდა დატოვებულ მოხსენებას. ბ-ნი გიორგი შემოვიდა ჩვენს ოთახში და ანელი ვოლსკაიას მიმართა თხოვნით: "ეს დღეს თქვენ უნდა წაიკითხოთ" და დაუსახელა, ვისი ტექსტი იყო. ნელი, აღელვებული, შეეხვეწა: "ვერ წავიკითხავ, ყველამ ხომ ვიცით, რაც ეწერება, ვერ შევძლებ, ხმამაღლა როგორ გავიმეორო?" და ცრემლები მოადგა თვალებზე. ბ-ნი გიორგი მიეფერა და უთხრა: "მესმის თქვენი, მაგრამ მისი თხოვნა აუცილებლად უნდა შევასრულოთ". დადო ტექსტი მაგიდაზე და გავიდა. გაიანე ალიბეგაშვილმა (პირველი ასპირანტი იყო ინსტიტუტისა) სტაცა წერილს ხელი და დაიწყო ჩუმად კითხვა. ყველანი ნელის ვამშვიდებდით. ერთბაშად მოგვესმა გაიანეს სიცილი; "რა გატირებს"-ო უთხრა და დაიწყო კითხვა: "დარბაზში ისმის შეძახილები", "სწორია", "ტაშის გრიალი", "აპლოდისმენტები" და სხვა მსგავსი რეპლიკები. გახარებულმა ნელიმ კი წამოიძახა: "ახლა კი ვიცი, როგორც უნდა წავიკითხო. ბ-ნი გიორგი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო". თუმცა, წარმოდგენა არ ჰქონდა როგორი გაფორმება ჰქონდა ტექსტს. არც ჩვენ ვიცოდით, როგორ ასრულებდა ნელი ტექსტის წაკითხვას.

მოსული კრიტიკოსებით გამოჭედილ ოთახში ჩვენი ერთგული თანამოაზრენიც საკმარისად იყვნენ და მონაწილეობაც მიიღეს დისკუსიაში ჩვენს მხარდასაჭერად, რაც იმ ხანად თავგანწირვას ნიშნავდა.

ბ-ნმა გიორგიმ მოხსენებაში, თავისი დამაჯერებელი ტონით, იმავე ციტატებით, რომლებსაც ისე უხვად ხმარობდნენ ოპონენტები თავიანთ კრიტიკულ სტატიებში და რომელნიც არაფერს იძლეოდა მათი დებულებების დასამტკიცებლად, აჩვენა სად იყო ისინი საჭირო და სად კი სწორედ ფორმალურად, სიმრავლისათვის გამოყენებული მათ მიერ. დისკუსიის მონაწილე თანამშრომლებმა ვახტანგ ბერიძემ, ლეო რჩეულიშვილმა, ნოდარ ჯანბერიძემ, სიმონ კინწურაშვილმა, ინა გომელაურმა ნათლად დაანახეს "ვაი კრიტიკოსებს", რომ კარგად იცოდნენ, სად და როდის, რა ციტატები მოეყვანათ, "ყურით მოთრეული", თუ ის, რაც აუცილებელი იყო მათ მიერ გააზრებული დებულებების დასამტკიცებლად.

ნელიმ იცოდა, როდის უნდა გამოსულიყო. როდესაც გამოაცხადეს მისი გვარი, სწრაფად გაჩნდა მიკროფონთან და მაშინვე დაიწყო კითხვა – თავმჯდომარეს არ აცალა დაემთავრებინა სიტყვა, თუ ვის ტექსტს წაიკითხავდა იგი. ამას არც ჩვენ მოველოდით. ნელიმ კითხვა რომ დაიწყო, სარკმლის რაფაზე (ადგილის სივიწროვის გამო) შემომჯდარი ოთარ ჯაფარიძე წამოიწია, მეგონა გადმოვარდებოდა მოულოდნელობისგან. ვერ წარმოედგინა ნელისაგან მსგავსი გამკილავი სიტყვების გაგონება და თვალებს აბრიალებდა. როდესაც ნელიმ რეპლიკების კითხვა დაიწყო, ბ-ნი გიორგი გაკვირვებით უსმენდა, ვერ გაეგო, საიდან იყო ეს შეძახილები აღებული. ოთახში მოკრძალებული სიცილი გაისმა, ბოლოს უკვე მოურიდებელიც. როდესაც ნელიმ ხმამაღლა გამოაცხადა ავტორის ტიტულები, ვის "შემოქმედებასაც" კითხულობდა, ისე გამოთქვა ყოველი სიტყვა, თითქოს დიდი ტვირთი მოიცილაო.

რეაქცია სათანადო იყო . . . ეს იყო ბოლო გამოსვლა, "გამარჯვების მოლოდინით" მოსულებმა მწარე დამარცხება განიცადეს.

1959 წელს ინსტიტუტში მოვიდა ოფიციალური წერილი, რომ გიორგი ჩუბინაშვილს მიენიჭა "ჰონორეს კაუზა" ლაიფციგის კარლ მარქსის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი და სურთ საზეიმო ვითარებაში გადასცენ მას დიპლომი; ითხოვენ მისგან თანხმობას და მისთვის შესაძლებელი დღის დანიშვნას ლაიფციგში ჩასასვლელად. თითქოს ყველაფერი გადაწყდა და მოგვარდა ადგილზე, საჭირო იყო მხოლოდ მოსკოვში ჩასვლა და ვიზის გაფორმება.

ამ დროს მოსკოვში მივლინებით ნათელა, ნელი და მე ვიმყოფებოდით. დილით მივიღეთ დეპეშა – "ბ-ნი გიორგი მოსკოვშია. სასტუმრო "მოსკოვში"". სასწრაფოდ გავეშურეთ სასტუმროსაკენ. ადმინისტრატორმა გვითხრა ბ-ნი გიორგის ოთახის ნომერი და თან დასძინა, რომ იგი ადრე იყო გასული სასტუმროდან. საღამოს კვლავ ვესტუმრეთ. დიდხანს მოგვიხდა ცდა, გვიანდებოდა, ვაპირებდით წასვლას, როდესაც დავინახეთ ბ-ნი გიორგი სასტუმროში რომ შემოდიოდა. გვითხრა მშვიდად, მაგრამ ოდნავი აღელვება შეემჩნეოდა, რომ ვერ მოასწრეს ვიზის გაფორმება და ხვალისათვის დაიბარეს. თან დაუმატა: "განაგრძეთ თქვენი მუშაობა და საღამოს შემომიარეთ. ვიზაც მზად რომ იყოს, ხვალ გამგზავრება მაინც ვერ მოხერხდება". არადა, დანიშნული დღე ახლოვდებოდა. პასუხი კი მეორე დღესაც იგივე მივიღეთ. ასე განაგრძეს კიდევ ორი დღე და იმ დღეს, როდესაც ბ-ნი გიორგი ლაიფციგში, მისთვის საზეიმოდ მოწყობილ აუდიტორიაში, მაგიდასთან უნდა მჯდარიყო და ესმინა საუბარი მის მეცნიერულ დამსახურებაზე და მილოცვები მიეღო, წელში მოხრილი, თავდახრილი ჩვენსკენ მომავალი რომ დავინახეთ, მივხვდით, რა პასუხსაც გვეტყოდა – "უარი ვთქვათ გამგზავრებაზე". რატომ? რისთვის? ჩაუმწარეს სიხარული, რომელსაც ისე ელოდა – კვლავ ენახა ქალაქი, რომელშიაც გაატარა 7 წელი ახალგაზრდობისა და ჰყავდა ნაცნობები, რომელთა ნახვას სიხარულით მოელოდა. რატომ აწვალეს და თავიდანვე არ უთხრეს სათქმელი?!

ეს იყო კოსმოპოლიტიზმის და დასავლეთისადმი ქედისმოხრის და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იმ კამპანიის შედეგი, რომელიც, ფაქტობრივად, იდეოლოგიის განმტკიცებისათვის, სულ უფრო და უფრო პოლიტიკურ ელფერს იღებდა. რა უნდა გვეთქვა – ხმის ამოღება არ შეგვეძლო არც ჩვენ და არც ბ-ნ გიორგის, ცრემლები გვახრჩობდა. ჩუმად, უხმოდ დავცილდით ერთმანეთს და ისღა შევძელით გვეთქვა – დილით მოვალთ და მოგეხმარებითო. დღესაც, როდესაც ვიგონებ იმ დღეს, თვალწინ მიდგას ბ-ნი გიორგის ნაღვლიანი, დაღლილი სახე.

ინსტიტუტის ყველაზე დიდი გასაჭირი იყო მანქანა ექსპედიციებისათვის. ახალი ავტობუსი არ გვეღირსა, ძველი ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, სულ იმის შეკეთებაზე იყო დამყარებული ექსპედიციის დაწყება. ექსპედიციიდან დაბრუნებულები კი იმაზე ვწუწუნებდით, იქაც გაფუჭდა და შეკეთება მოგვიხდათ, ვჩიოდით, ექსპედიციაში ჩვენი გასაჭირიც გვეყოფნისო. მართლაც, ხიფათები და გასაჭირი ბევრი შეგვხვედრია, შიშიც ბევრჯერ გადაგვიტანია.

ჩვენს ჩივილს რომ ისმენდა, ვანო შაფაქიძე სულ იმას ამბობდა – ერთხელ მე უნდა წავყვე და ადგილზე ვნახო, რა ემართება მანქანას, ან სხვა რა გასაჭირი აქვთ ექსპედიციაშიო. ის დრო იყო, როდესაც ბ-ნი გიორგი სომხური არქიტექტურის ძეგლებს იკვლევდა და ხშირად აწყობდა ექსპედიციებს. ბ-ნ ვანოს ძალიან უნდოდა ადგილზე სომხური ძეგლების ნახვა. როდესაც ბ-ნმა გიორგიმ გამოაცხადა სომხეთში ექსპედიციის თარიღი, ჩვენ ვუთხარით ვანოს, შესულიყო ბ-ნ გიორგისთან და ეთხოვა ნებართვა, მასაც მიეღო მონაწილეობა. ვანოს ერიდებოდა, მაგრამ ჩვენ დავარწმუნეთ, რომ ასე აჯობებდა. დაგვიჯერა. გახარებული მოვიდა და გვითხრა – "დიდი სიამოვნებით", ასე მითხრაო. სურვილი კი აისრულა, მაგრამ ისეთ წვალებას გადავეყარეთ, რასაც არ დაგვიჯერებდა, თვითონაც ჩვენთან რომ არ ყოფილიყო.

ნოემბერი იყო. დილით ძეგლზე რომ გავედით, კარგი ამინდი ჩანდა. დაბრუნებისას უცებ სველი თოვლი წამოვიდა. გზაში ერთი პატარა ღრმული თოვლჭყაპით იყო გავსებული. ნახევრამდე რომ მივედით, მანქანა გაჩერდა, ვერაფრით დაძრეს

ადგილიდან. მთელი ღამე იწვალეს, საშველი არ იყო. ისეთ ადგილას ვიყავით, შემთხვევით თუ გაივლიდა ვინმე. სხვა გზა არ იყო – მანქანაში უნდა გაგვეთია. ავცივდა. გათენებისას ძლივს გვეშველა, გამოჩნდა მანქანა, დიდი წვალებით ამოგვათრია და გზამდე მიგვიყვანა. გაყინულებს, მშიერებს, აღარაფრის თავი არ გვქონდა. ვანო კი სულ იმას გაიძახოდა – ეს განგებ მომიწყვეთო. ერთი კი ის იყო, რომ დაიჯერა, რა სიძნელეებს ვხვდებოდით ექსპედიციებში.

ხანში რომ შევიდა, ვანო შაფაქიძე ავადაც გახდა, სუსტად გრძნობდა თავს, ამიტომ გადაწყვიტა პენსიაზე გასვლა. გვაწუხებდა მისი ბედი. პატარა ხელფასი ჰქონდა და მისგან მიღებული პენსიით ყოვლად წარმოუდგენელი იყო არსებობა. ჩვენი ხელფასებიდან, ყოველ თვე შეგროვებულ ფულს არაფრით მიიღებდა, ვერც ჩვენ შევბედავდით – ზედმიწევნით თავმოყვარე იყო; პატიოსნებასთან ერთად კი, ბავშვივით გულუბრყვილოც. მხოლოდ მისი მიამიტობა მოგვცემდა საშუალებას ჩვენი ჩანაფიქრი განგვეხორციელებინა. ბ-ნი ვანო მარტოხელა იყო, ავად რომ ხდებოდა, მივდიოდი სანახავად და ვეხმარებოდი, თან ინსტიტუტის ამბებს ვუყვებოდი. არც ჩემი მისვლა გაუკვირდებოდა და რაიმე დავალების შესრულება.

მართლაც, მივედი მასთან, ჩანთიდან კონვერტი ამოვიღე (ჩვენი შეგროვილი ფულით) და გადავეცი – პროფკავშირებიდან მოიტანეს, თქვენ სახელზე იყო და წამოვიღემეთქი. მთხოვა წამეკითხა. წავუკითხე: "პროფკავშირის წევრობის ხანგრძლივი და უწყვეტი სტაჟისათვის, დაენიშნოს პენსია, ერთთვიანი ხელფასის რაოდენობით, პროფკავშირებიდან, ყოველ თვე". "შეხედე ამას!", წამოიძახა ვანომ, "როგორ შეუცვლია პროფკავშირებს ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობა?!". გამოგვივიდა. დაგვიჯერა. მაშინ კონვერტიდან ოფიციალურ საბუღალტრო უწყისზე დამაგრებული ფული ამოვიღე, გადავეცი და უწყისზე ხელიც მოვაწერინე . . .

მაგრამ ეს ამბავი გაიგო ბ-ნ გიორგის და დამიბარა. ყველანი შევშინდით, არ გაგვჯავრებოდა, რადგან არ ვიცოდით, შეეტყო თუ არა მას, როგორ ვცადეთ ბ-ნ ვანოს თანხმობის მიღება.

"გავიგე თქვენი ზრუნვის შესახებ, ბ-ნმა ვანომ სავსებით დაიმსახურა ეს თავისი კოლექტივისაგან, მაგრამ მე რატომ გამომტოვეთ?" – მკითხა. მერე მომაყოლინა, როგორ დავაჯერე ვანო. გაეცინა – "ამას ხომ უნდოდა მოფიქრება!" გამომიწოდა ფული, თან სიცილით მეუბნებოდა – "რახან უკვე წაგიღიათ, ეს ამ თვისა იყოს და შემდეგი თვისაც დაამატეთ; თან უთხარით, პენსია გაუდიდებიათ"ო.

რა გასაკვირია, განა ბ-ნი გიორგი არ იყო, ქ-ნ თამარ გოცირიძე (მნე და მოლარე ჩვენი) მძიმედ ავად როდესაც გახდა და მორჩენის იმედიც აღარ იყო, რომ გვთხოვა – "სკოლის ასაკის ბიჭი ჰყავს, მის მეტი შემომტანი არავინ არის, დავეხმაროთ, ხელფასი რომ შევუნახოთ". ჩვენც სიამოვნებით ვასრულებდით მის მოვალეობას, ხელფასი კი მიგვქონდა ქ-ნ თამართან.

ასევე ვეხმარებოდით ჩვენ მბეჭდავს, ქ-ნ ნინო თოფურიძეს, რომელსაც ორი შვილი ჰყავდა მარტოს საპატრონო. დაგვიტოვებდა სასწრაფოდ დასაბეჭდს და თვითონ გარბოდა ბავშვებთან საჭმლის მისატანად.

ჩვენს ინსტიტუტში შუღლი და მტრობა არ იყო, გვიყვარდა ერთმანეთი და ურთიერთს ყოველთვის მხარში ვედექით. არ ვიყავით პირადი ინტერესებით, სხვადასხვა ტიტულების მოპოვებით გატაცებულნი, რასაც ვაკეთებდით – ინსტიტუტის პრესტიჟისთვის კეთდებოდა, მისი მაღალი დონით წარმოჩენაზე ვფიქრობდით. ყველაფერს ერთად, შეთანხმებით ვწყვეტდით.

ინსტიტუტის შესწავლის ერთ-ერთ საინტერესო თემას წარმოადგენდა – "საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურულ ურთიერთობათა" გამოვლენა, რომლის დასამუშავებლად შეიქმნა ორწლიანი ექსპედიცია (თითო თვით). თემის ხელმძღვანელად გამოიყო რენე, წევრებად ვახტანგ დოლიძე, ანელი ვოლსკაია და მე. ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს უახლოესი მეზობლის, მთიანი დაღესტნის ყოფა-ცხოვრების გაცნობა, მთიანი საქართველოსა

და იქაური საცხოვრებელი სახლების მსგავსებაგანსხვავებების დადგენა, ლითონის მხატვრული დამუშავების და ტექნოლოგიური პროცესის გაცნობა.

მუშაობა დავიწყეთ დახადაევის რაიონის შესწავლით, კერძოდ, მთელ დაღესტანში განთქმულ სოფ. კუბაჩიდან. გადავიღეთ დიდი რაოდენობით ფოტოსურათები, რენემ უამრავი ნახატი შეასრულა სამკაულების, ორნამენტული ნიმუშებისა; საღამოთი თავის ნახატებიდან მეც მიხატავდა დამახასიათებელ სამკაულებს, სხვადასხვა დეტალებსა და ორნამენტებს. მართალია, ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში, რაც რენემ შეასრულა დაღესტანში, მაგრამ ესდა შერჩა რენეს ალბომიდან, ესდა გადაურჩა 1991 წელს თბილისს ჩვენი ინსტიტუტის გადამწვავ ხანძარს შემთხვევით და ჩემს დაღესტნის მასალებში ინახება.

რენემ და ვახტანგმა პირველ დღესვე რამდენიმე სახლი შეარჩიეს. ბოლოს შეჩერდნენ ერთზე, თანხმობაც მიიღეს პატრონისაგან სახლის აზომვისა და დიასახლისს ვახტანგისათვის დასახმარებლად თავისი ქალიც შეუთავაზებია. დაიწყო ვახტანგმა სახლის აზომვა თავისი ჩვეული წესით, აუჩქარებლად, ყოველი დეტალის გაზომვით. ყოველ საღამოს აფრთხილებდა რენე ვახტანგს – რამდენიმე დღე გვაქვს დარჩენილიო; მას კი ინტერიერის აზომვაც არ ჰქონდა დაწყებული. ცენტრისაკენ კი გარკვეულ დღეებში მიდიოდა მანქანა, რომლითაც უნდა გადავსულიყავით სხვა რაიონებში.

მე საკმარისი მასალა მქონდა შეგროვილი, ნივთებიც აღწერილი (ფორმა, ქვების გაწყობა, სხვადასხვა მასალის გამოყენება და სხვა). მაგრამ, როდესაც დავუწყე ხელოსნებს გამოკითხვა სხვადის შემადგენლობის, კავშირის და სხვა ტექნიკური ამბების, ისეთ ზღაპრებს მიყვებოდნენ, რომ ლითონის ტექნოლოგიას ოდნავ მაინც გაცნობილი ბავშვიც კი მიხვდებოდა, როგორ ტყუოდნენ. ვიცოდი, ხელოსნები ამ მხრივ უთქმელები რომ არიან, თან მქონდა წაღებული რვეული სხვადასხვა შემადგენლობების ჩანაწერებით. როცა ვუთხარი, რომ რაც თქვენ გგონიათ საიდუმლოება, ის უკვე დიდი ხანია ცნობილია, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ოქრომჭედლებისათვისმეთქი, დარცხვენილებმა მომიგეს: "ჩვენ შევცდით იმიტომ, რომ თქვენ იწერდით; ვფიქრობდით, არაფერი იცით და ვერ გაიგებდით"-ო. სწორედ მეც იმიტომ ვიწერდიმეთქი, ვუპასუხე. როცა შევთავაზე ჩემი რვეულიდან შემადგენლობების გადაწერა, უარი მითხრეს – ჩვენი საქციელის გამო ამის ღირსები არა ვართო.

იმ დღესვე ერთმა შერცხვენილმა ოსტატმა, სამუშაო რომ დამთავრდა და გაიგო, რა გზით მივდიოდი, მთხოვა გზად მის სახლში შევევლილო – უნდოდა თავისი ნამუშევრების ჩვენება. დავადექით თუ არა გზას, ჩვენსკენ მორბენალმა ბიჭმა შეგვაჩერა და გაგვაგებინა, სასწრაფოდ იმ სახლში მივსულიყავით, სადაც ზომავდნენ. შორიდანვე შემოგვესმა ქალის ყვირილის ხმა, სახლს რომ მივუახლოვდით, ვნახეთ – ოთახში განაგრძობდნენ ზომვას, ნელი და ბიჭი ვახტანგს ეხმარებოდნენ, დიასახლისი ვახტანგს უყვიროდა, რენე კი აჩქარებდა, სამუშაო დაამთავრეთო. პატრონმა რომ ვერაფერს მიაღწია ყვირილით, ოთახში შესვლა დააპირა მათ გამოსაყრელად. რენემ დაასწრო და კარებში ჩადგა; დიასახლისმა რენე კარებს რომ ვერ მოაცილა, სტაცა ხელი იქვე დაგდებულ ფიცარს, ჟანგიანი ლურსმნებით და ზურგში გამეტებით ურტყამდა; რენე არ ნებდებოდა და არც ტკივილს იმჩნევდა, თან უყვიროდა დანარჩენებს, სამუშაო ბოლომდე მიეყვანათ.

შინ რომ მივედით და ვთხოვეთ რენეს, გვენახა მისი ზურგი, ვერაფრით დავითანხმეთ. მეორე დღეს იძულებულები ვიყავით მახაჩკალაში ჩავსულიყავით. არ მოვეშვით, სანამ ზურგს გვაჩვენებდა და ჭრილობებს წესრიგში მოვიყვანდით. მხოლოდ რენეს შეეძლო იმ არაადამიანური ტკივილების ატანა. შეხვევებს რომ ვუკეთებდით, სულ იმაზე ვფიქრობდი – მოინდომებს კი რენე მომავალ წელს დაღესტანში ექსპედიციის ჩატარებას?!

მაგრამ გაისად, ის, რაც რენეს წინა წელს გადახდა, მას უკვე დავიწყებული

ჰქონდა. მაისის თვიდან უკვე დაიწყო მზადება, რადგან ივლის-აგვისტოსათვის უკვე დაგეგმილი იყო – ექსპედიცია რომელ რაიონში და რამდენი დღე იმუშავებდა. ისიც კი ჰქონდა განსაზღვრული, დაღესტნიდან ფეხით ყოდორის გადასასვლელით კახეთში რომ გადავიდოდით, რაც შევასრულეთ კიდეც.

დაღესტნის მსგავსი ამბავი გადახდა რენეს ექსპედიციას ზემო სვანეთშიც. ვმუშაობდით ეცერის თემის სოფ. ფხოტრერის წმ. მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის ეკლესიაში. ეკლესიის მთავარი ხატი დიდი ზომისაა, მთავარანგელოზთა კრების გამოსახულებით. მთავარანგელოზთა სამოსი ფრაგმენტებად იყო ქცეული და არეულ-დარეულად ხატზე ჩამოკიდებული თითო ლურსმნით. რენემ მითხრა: "ეს ფრაგმენტები მალე ჩამოცვივდება და დაიკარგება"-ო და მთხოვა დამემაგრებინა. მართლაც, მაშინ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო სამოსს სრული და თავდაპირველი სახე მისცემოდა.

მთელი დღის განმავლობაში თვალს გვადევნებდნენ იქაურები, რას ვაკეთებდით ეკლესიაში. სანამ აღწერაზე ვმუშაობდით, სრული სიმშვიდე სუფევდა. მერე ჩანთიდან იარაღი ამოვიღე და მივუახლოვდი ხატს, დავიწყე ფრაგმენტების ჩამოხსნა და გადაადგილება; როდესაც ყველას თავისი ადგილი მივუჩინე და დამაგრებას ვაპირებდი, ერთბაშად გაჩნდნენ ქალები და ატეხეს ყვირილი: "რა უფლება გქონდათ ხატთან მიკარებისა", "ახლა ხატი ხომ დაკარგავს თავის ძალას" და სხვა ამისთანები. რენე კარებში ჩადგა და ეკლესიაში შესვლის საშუალებას არ აძლევდა მათ. იგივე განმეორდა, რაც დაღესტანში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რენეს ბეჭებზე ფიცარს არ ურტყამდნენ, მაგრამ თუ იქ არ გვესმოდა რა სიტყვებით გვლანძღავდნენ, აქ ღვთის რისხვით გვაშინებდნენ.

ხატზე მუშაობა რომ ვერაფრით შეგვაჩერებინეს და ვერც ეკლესიაში შემოაღწიეს, საშველად მამაკაცები მოიყვანეს. მათ ვერაფერი თქვეს, რადგან ხატი უკეთესად გამოიყურებოდა და ქალების დაწყნარება მოინდომეს. ამაზე უფრო მეტად ამოიღეს ხმა ქალებმა. ერთმა სოფლიდან ახალგაზრდა ვაჟი ამოიყვანა. საქმეში რომ გაერკვა, იმანაც ქალების დაწყნარება მოინდომა. მაშინ ახალი მიზეზი წამოაყენეს – "ხვალ დიდი წვიმა მოვა და წაგვლეკავს"-ო. გაბრაზებულმა ვაჟმა შეუყვირა (მოგვიანებით გავიგეთ, რომ გამომძიებელი ყოფილა): "თუ წვიმა მოვა, მე დამსაჯეთ, თუ არა – მე ვიცი, როგორ დაგსაჯოთ. მეცნიერები ჩამოსულან ჩვენ სასიკეთოდ, თქვენ კი ასე უდიერად ეპყრობით". მაშინ ცოტა დაწყნარდნენ. მეც დავამთავრე სამუშაო, გამოვედი ეკლესიიდან და მშვიდად ვუთხარი – "ჩემი კაკუნი თუ წვიმას მოიყვანს, მადლობის მეტი რა გეთქმით. გადამხმარია გარშემო სიცხისგან ბალახი. ზამთარში რას აპირებთ, რითი გინდათ შეინახოთ საქონელი"მეთქი.

მთელი ღამე არ გვძინებია არც ჩვენ და არც მას, ვინც ასე თავგამოდებით გვიცავდა. ყველანი ცას შევყურებდით, გვეშინოდა, შემთხვევით ოდნავადაც რომ მოეწვიმა?!

1952 წლის ერთთვიანი ექსპედიციისაგან ყველა ჩვენთაგანი საინტერესო შედეგებს ველოდით. სამი წევრისაგან შემდგარი ექსპედიცია – თინა ვირსალაძე, რუდა მეფისაშვილი და მე – უშუალოდ ვიყავით დაკავშირებული გელათის მონასტერთან. თინას შესწავლის მიზანს წარმოადგენდა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი ეგვტერის ახლად გახსნილი ფრესკა, რუდას მთავარი ტაძრის არქიტექტურული ფორმების აღნაგობის თავისებურებების დადგენა, მე კი პირველად უნდა მენახა ჩემი სადისერტაციო თემა – ხახულის ღმრთისმშობლის ხატი და აღმეწერა იგი. ხახულის კარედი ინახებოდა მთავარი ტაძრის სადიაკვნეში, რომელსაც რკინის კარები ჰქონდა ჩამობმული და დალუქული იყო. მისი გაღება საგანგებო ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. როგორც იყო, მივიღე ნებართვა (ისიც მხოლოდ რამდენიმე დღით), თანაც უფროსები მახლდნენ თან, ეს იყო მთავარი. აქ მეორე სირთულეც იყო – თუ ტაძრის დარაჯი იქვე, მონასტრის ეზოში ცხოვრობდა, სამაგიეროდ, სადიაკვნეს გასაღების მცველი ცხოვრობდა რამდენიმე კილომეტრით დაცილებულ

სოფ. მაღაროში და სწორედ იმ დროს ერთი კვირით ქუთაისში იყო წასული. ამიტომ შევეცადე შემემოწმებინა ეკლესიის ჩრდილოეთი ბურჯის წარწერა, რომელიც გ. წერეთელს ჰქონდა გადმოწერილი ხახულისა და გელათის ღვთისმშობლისად, სადაც ხატი იხსენიება. შესადარებლად გადმოწერილი წარწერა წამოღებული მქონდა. სამწუხაროდ, წარწერა კიდევ უფრო დაზიანებული დამხვდა. ამიტომ, დრო ცუდუბრალოდ რომ არ დამეკარგა, თინამ მომცა დავალება, მემუშავა ინტერიერის მოხატულობაზე და, განსაკუთრებით, საკურთხევლის კონქის მოზაიკაზე, ისე, რომ ანგარიშის სახით წამეკითხა ინსტიტუტში.

წყნარად და მშვიდად ვმუშაობდით მთელი კვირის განმავლობაში. დილით ადრე გამოგვეცხადა სადიაკვნეს მცველი. საზეიმოდ, ეკლესიის მცველისა და ჩვენი დასწრებით, გააღო კარი, სათითაოდ შეგვიყვანა და აჩვენა ყველას, რომ ყველაფერი წესრიგშია — ხატი თავისი კარედით შუშიან ბუდეში ჩაკეტილი, შუშები მთელი. ბოლოს მეც მეღირსა შესვლა, სკამი დამიდგა, ჩარჩოს მტვერი მოსწმინდა, ბოლოში კედელთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა — თვალს მადევნებდა, რას ვაკეთებდი. ვწერდი ორი სანთლის შუქზე, რომელიც დამაგრებული იყო ორმხრივ კანდელებზე და ანათებდა მხოლოდ ხატს და ჩემს მუხლებზე დადებულ რვეულს, გარშემო უკუნეთი სიბნელე იყო. საღამოს ხუთ საათამდე ვიმუშავეთ. მერე სიტყვის თქმაც არ მაცალა მცველმა, კარებისკენ გაემართა გასაღებად. წასვლისას მითხრა, ხვალაც ადრე მოვალო. ამ პირობებში ვიმუშავე ორი დღე (ვფიქრობ, ადვილი გასაგებია, თუ როგორ), ხოლო რა მდგომარეობაში ჩავვარდი მესამე დღეს — კიდევ უფრო ძნელად გადმოსაცემია.

ნახევარი დღე არ იყო გასული, როდესაც მცველმა მითხრა — პატარა საქმე მაქვს გასაკეთებელი, წავალ მაღაროში და ერთ საათში ამოვალო. მეც დავთანხმდი, რადგან მეგონა — დავტოვებ ყველაფერს, ამოვა, გამიღებს კარებს და განვაგრძობ მუშაობას. როდესაც მომესმა კარების დახურვის ხმა, უკვე გვიანი იყო. სანამ მე მოვემზადე წასასვლელად, მან კარები გარედანაც ჩაკეტა და დამტოვა მარტო. რა მექნა, განვაგრძე მუშაობა. სანთლები გაილია და ჩაქრა. ადგომის მეშინოდა, რამეს არ დავეტაკებოდი — უამრავი ნივთი იყო გარშემო. სად ელაგა ჩემი მოტანილი სანთლები და ასანთი, არ ვიცოდი. არც ის ვიცოდი, რა ხდებოდა გარეთ.

მოხდა სრული გაუგებრობა. წასვლისას მცველს დარაჯი გაუფრთხილებია, წავალ და ერთ საათში ამოვალო, ის კი არ უთქვამს — ჩაკეტილი თუ დამტოვა. ჩვენებს სადიაკვნეზე გარედან ბოქლომიც რომ შეუნიშნავთ, ის საბოლოოდ დაკეტილად მიუჩნევიათ. შინ რომ მივიდნენ, იფიქრეს, სადღაც ეზოში ვიყავი. რომ არ გამოვჩნდი, შემოიარეს მთელი ეზო, იქაც ვერავითარ კვალს მიაგნეს. უკვე გვიანი იყო, მაგრამ დარაჯის გაღვიძება არ მოერიდათ და თხოვნით მივიდნენ, ჩემს მოძებნაში დახმარებოდა. მან მონასტერს გარშემო შემოუარა, ვერაფერი რომ ნახა, გადაწყვიტა მაღაროში ჩასვლა, ეგების მცველისგან გაეგო რამე. თინა და რუდა ისხდნენ ეზოში და გულის კანკალით ელოდებოდნენ, რა ამბავს მოიტანდა იგი. ეზოში მომავალი ორივე დარაჯი ერთად რომ შეუნიშნავთ, უკივლიათ და გაქცეულან მათ შესახვედრად.

მე, უკვე იმედდაკარგული, შევეგუე იმას, რომ ღამის გათევა სადიაკვნეში მომიხდებოდა, როდესაც კარების გაღების ხმა გავიგონე . . . მე თვითონ შეშინებული, პატიებას ვთხოვდი თინასა და რუდას, რომ ჩემს გამო ასეთი ნერვიულობა მოუხდათ. ჩვენ კი არა, დარაჯი შენ უნდა გიხდიდეს ბოდიშს, ასეთ დღეში რომ ჩაგაგდოო, მპასუხობდნენ. შემდეგ სიცილით ყვებოდნენ, რა საშინელი აზრები მოსდიოდათ ჩემი დაღუპვის შესახებ და კიდევ უფრო საშინელ ვარიანტებს იგონებდნენ და ვიცინოდით.

ინსტიტუტში როცა ვბრუნდებოდით, ყველა ჩვენ გასაჭირს, შიშსა და ნერვიულობას უკვე იუმორით ვყვებოდით. ყველაფერი გვავიწყდებოდა. მაგრამ ვერ დავივიწყეთ ის, რაც არ გვაპატია ბ-ნმა გიორგიმ არავის — რენეს გარდაცვალება

რომ არ შეგვატყობინეთ.

ბ-ნი გიორგი ორ კვირას ზამთარშიც ისვენებდა, ასე იყო 1967 წელსაც. 15 თებერვალს გაემგზავრა ფასანაურში. სამი დღის წასული იყო, როდესაც რენე გარდაიცვალა, ამიტომ უფროსებმა გადაწყვიტეს, მისთვის არ შეეტყობინებინათ. როდესაც ჩამოვიდა ბ-ნი გიორგი, ყველას სათითაოდ გვიბარებდა და გვთხოვდა დაწვრილებით მოგვეყოლა ყველაფერი, რა როგორ მოხდა. უკვირდა – წასვლის წინ დასამშვიდობებლად რომ მოვიდა ინსტიტუტში, რენეს ელაპარაკა, არაფერი ეტყობოდაო. ჩვენ ვუყვებოდით, რომ რენე მძიმედ იყო ავად, საავადმყოფოში დაწოლაზე არ გვეთანხმებოდა, ვერაფერს გავხდით, ხოლო როცა წავიყვანეთ, უკვე გვიანი იყო.

იმ ზაფხულს სვანეთში რომ ჩავედით, განცვიფრებულები დავრჩით – ყველგან, სადაც ჩვენ ვსაუზმობდით, ვსადილობდით, მაღაზიების ვიტრინებზე გაზეთებიდან ამოჭრილი რენეს ნეკროლოგები იყო გაკრული. გვითხრეს, მისი დაკრძალვის დღეს, მესტიაში ზარი შეასრულესო.

ასე იცხოვრა ნახევარი საუკუნე ინსტიტუტმა მშფოთვარე და წინააღმდეგობით სავსე ცხოვრებით. გიორგი ჩუბინაშვილი საქართველოში ეროვნული მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფუძემდებელ მეცნიერთა იმ პლეადას მიეკუთვნება, რომლებსაც ბევრი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდათ, სანამ მათი ოპონენტები და ისინი, ვისაც უნდა გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა, სწორად აღიქვამდნენ მათ მიერ შემოთავაზებულ ახალ, მეცნიერულად გააზრებულ პროგრამებსა და დებულებებს.

სწორედ ამ დროს, 19911992 წლების მიჯნაზე მთელ საქართველოსაც და ინსტიტუტსაც თბილისში მოულოდნელად დატრიალებული ტრაგედიები მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა. სწორედ ამის წინ, 1991 წლის 1 აპრილს ჩვენს ინსტიტუტს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. მოუთმენლად ველოდით ბ-ნ ვახტანგ ბერიძის წიგნს (სწორედ ამ დროს იბეჭდებოდა), რომელშიც მისთვის ჩვეული სისრულითა და სითბოთი აჯამებდა ინსტიტუტის – ეროვნული კულტურის შემსწავლელი ამ ერთერთი მნიშვნელოვანი ცენტრის განვლილ მუშაობას, რომელსაც სათავეში ედგა 32 წლიწადი მისი დამაარსებელი მრავალმხრივი მეცნიერი – გიორგი ჩუბინაშვილი.

ბევრად გვიან, 2000 წელს წავიდა ჩვენგან, წყნარად და მშვიდად, ბ-ნი ვახტანგი, რომელიც ბ-ნი გიორგის შემდეგ 15 წელი უძღვებოდა ინსტიტუტს და გვამხნევებდა. თითქოს ანდერძად დაგვიტოვა, დღემდე უსახლკაროდ დარჩენილებს, ამ წიგნის წინათქმაში მწუხარებით გამოთქმული სიტყვები: ". . . ინსტიტუტი უსახლკაროდ დარჩა. ზოგი რამ, ალბათ, აღდგება, მაგრამ ბევრი რამ სამუდამოდ და გამოუბრუნებლად არის დაღუპული. ეს უმძიმესი დანაკლისია არა მარტო ჩვენი ინსტიტუტისთვის, არამედ მთელი ქართული კულტურისათვის.

ეს წიგნი თითქოს გამოთხოვება გამოვიდა ორმაცდაათიანი წლის ინსტიტუტთან. რა თქმა უნდა, დიდი დრო გავა, სანამ ინსტიტუტი ფეხზე წამოდგება, სანამ მისი საქმიანობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. მე ტექსტში არაფერი შემიცვლია, იმიტომ რომ მჯერა, ინსტიტუტი მაინც ცოცხალია; მის თანამშრომლებს, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს, შესწევთ ძალა განაგრძონ გზა, რომელსაც ნახევარი საუკუნის წინათ დაადგნენ მისი დამაარსებლები. მჯერა, რომ მონდომებას და სიყვარულს არ დააკლებს ინსტიტუტს ახალგაზრდობა. ეს ინსტიტუტის ყოველი წევრის წმინდა მოვალეობაა. ამ იმედით გაქვეყნებთ წიგნს, რომელიც მომხდარი უბედურების შემდეგ მხოლოდ ისტორიად არ უნდა დარჩეს, მან მოწოდების ძალა უნდა შეიძინოს".

დღევანდელ შექმნილ ვითარებაში, როცა ყველაფერი ჩვენი გადასაწყვეტი გახდა, ჩვენზე არის დამოკიდებული – შევინარჩუნებთ თუ არა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის დამოუკიდებელ ინსტიტუტს, თუ . . . ინსტიტუტის სხვადასხვა თაობამ და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ, ვისაც ეკუთვნის ინსტიტუტის მომავალი,

სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ინსტიტუტი, სადაც უნდა იყოს, ვის განმგებლობასაც უნდა ეკუთვნოდეს, კვლავაც შემართებით და წარმატებით შეასრულებს თავის მოვალეობას, რაც ერთხელ უკვე დაამტკიცა. ჯერ კიდევ ბ-ნი გიორგის სიცოცხლეში (1963 წლის 21 მაისს) ინსტიტუტი გამოყვანილი იყო მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან და გადაცემული კულტურის სამინისტროს, ხოლო 2 წლისა და 7 თვის შემდეგ (1965 წლის 14 დეკემბერს) კვლავ უკან დაბრუნებული. ამ ხნის განმავლობაშიც, ინსტიტუტს არ დაუკარგავს რწმენა, არ შეუნელებია თავისი მუშაობის ტემპი და მნიშვნელოვანი წარმატებებიც ჰქონდა.

ამ ზაფხულს მეცნიერებათა აკადემიის საატესტაციო კომისიამ ერთხმად მაღალი შეფასება მისცა ინსტიტუტის ბოლო ათი წლის მუშაობას. ასე რომ ინსტიტუტი, თამამად და გადაუჭარბებლად ვამბობ, კვლავაც ცოცხლობს, ცოცხლობს მიუხედავად ყველა გადატანილი გაჭირვებისა.


**Resume**

**Rusudan Kenia**
**From the Past of the Institute of History of Georgian Art**

The article characterizes life of the Institute in 1940-1990s, describes formation of the traditions, which determined its work and relations of its staff-members, tells about the episodes, which show G. Chubinashvili's style of work and his personal qualities, peculiarities of character of the leading members of the Institute.